## სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის სამზადისი ჩვენი უპირველესი ამოცანაა

# პირველი რეპეტიცია

ასე შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს და რსფსრ-ს მესტენდურეთა სამატჩო შეხვედრას, რომელიც ამას წინათ თბილისის არმიელ მონადირეთა საზოგადოების სტენდზე შედგა. მართლაც, ეს იყო ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების პირველი რეპეტიცია სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაში მთავარი როლების შემსრულებლები — რკინიგზელი სპორტსმენები ტ. ჟღენტი და თამაზ იმნაიშვილი „სცენაზე“ ვერც ამჯერად ვიხილეთ, ვინაიდან ისინი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან და მის სხვა წევრებთან ერთად ვარჯიშობენ.

სამაგიეროდ, ჩვენ მოწმენი ვიყავით სოხუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის კ. დარასელიას („განთიადი“) წარმატებისა. დარასელია საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გუნდს კვლავ დაუბრუნდა, რათა ხალხთა VI სპარტაკიადაში რესპუბლიკის ინტერესები დაიცვას. პირველად მან სწორედ ამ მატჩში სცადა ძალა.

ცნობილი ფაქტია, რომ სოხუმის შესანიშნავი სტენდი კარგა ხანია მწყობრიდან გამოვიდა. არც აფხაზმონკავშირმა, არც ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტმა, არც სხვებმა სარბიელის აღდგენისთვის თავი არ შეიწუხეს, ამიტომაც ამ ავტონომიური რესპუბლიკის მესტენდურეთა კარგი ტრადიციები ისტორიას ჩაჰბარდა. გვაინტერესებს სად მოამზადებს აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტი საქართველოს სპარტაკიადისთვის გუნდს, რატომ აქამდე არავინ ფიქრობს იმაზე, რომ უბაზოდ ვარჯიში არ შეიძლება?

(დასასრული მე-4 გვ.).

* * *

სურათზე: ცეცხლის ხაზზეა კ. დარასელია.

ო. გელაშვილის ფოტო.

ამ ბოლო ხანს საქართველოს აფროსნებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს საკავშირო სარბიელზე. რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელია ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პინეგინი.

ახლა საქართველოს აფროსნები სოჭში გადიან წვრთნას — მომავალი საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადებიან. ამ სურათზეც სწორედ ვარჯიშის ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი.

— ჩვენი მიზანი საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლაა. ვფიქრობთ, გასულ სპარტაკიადასთან შედარებით ერთი-ორი საფეხურით მაღლა გადავინაცვლებთ, — გვითხრა პინეგინმა.

მანამდე კი ჩვენს აფროსნებს რამდენიმე სერიოზული გამოცდა ელით. პირველი რსფსრ-ს ღია ჩემპიონატი იქნება.

მ. ზაქარეიშვილის ტექსტი და ფოტო.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 50 (5340)

1975 წ.
12 მარტი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ორი გაზეთის პრიზზე

ფოთში ჩატარდა საქალაქო კროსი გაზეთების „პრავდისა“ და „ახალი კოლხეთის“ პრიზებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა საშუალო სკოლების, სასწავლებლებისა და საწარმო-დაწესებულებების 400-მდე წარმომადგენელი. გუნდურ ჩათვლაში სკოლებს შორის I ადგილი მე-3 საშუალო სკოლამ დაიკავა, II ადგილზე გავიდნენ მე-4, ხოლო III — მე-11 საშუალო სკოლების სპორტსმენები.

საწარმო-დაწესებულებებსა და სასწავლებლებს შორის კარგად იასპარეზა ს. ორჯონიკიძის სახელობის გემშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა.

პირად პირველობაში საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1000 მეტრზე გოგონებს შორის იმარჯვა ი. ზვერევამ (მე-3 საშუალო სკოლა), 2000 მეტრზე ქალებს შორის პირველი იყო ლ. ალექსეენკო (ს. ორჯონიკიძის სახელობის გემშემკეთებელი ქარხანა), 3000 მეტრზე მორბენალ ქალებში I ადგილზე გავიდა ლ. ლოგინოვა. ამ მანძილზე ჭაბუკებს შორის I ადგილი ერგო ა. ლავრენკოს (მე-3 საშუალო სკოლა), ვაჟთა შორის გაიმარჯვა ი. კაულაკისმა. 5000 მეტრზე ვაჟთა კროსში ბადალი არ ჰყავდა პ. კორნენკოს, ხოლო 8000 მეტრზე — ა. ბალჩუნასს.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ვეტერანებიც, რომელთა შორის 3000 მეტრზე რბენაში I ადგილი დაიკავა წ. გურგენიძემ (ს. ორჯონიკიძის სახელობის გემშემკეთებელი ქარხანა).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილებზე გასული სპორტული კოლექტივები დაჯილდოვდნენ გაზეთ „ახალი კოლხეთის“ პრიზებით, ხოლო II და III ადგილებზე გასული გუნდები და პირადი პირველობის პრიზიორები — ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის დიპლომებით.

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა ქალაქის ნაკრები, რომელიც აპრილში თბილისში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ კროსში გაზეთ „პრავდის“ პრიზზე.

ა. თოფურია.

ფოთი.

* * *

სურათზე: გოგონები 1000 მეტრზე რბენის დროს.

რ. ლვამიჩავას ფოტო.

## ყინულის მოედნებზე

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ატარებს ამხანაგურ მატჩებს. იგი კიდევ ორჯერ შეხვდა მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდს და ორივეჯერ გაიმარჯვა: რავენსბურგში ანგარიშით 9:6 სძლია მეტოქეს, ხოლო შემდეგი თამაში უფრო დიდი ანგარიშით მოიგო — 13:2.

პრაღიდან გვატყობინებენ, რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ქვეყნის დედაქალაქის მახლობლად მდებარე ნიმბურგში შეიკრიბა გაზეთ „იზვესტიის“ ტურნირის მატჩებისთვის, აგრეთვე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად.

18, 19 და 21 მარტს ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები „იზვესტიის“ პრიზის გათამაშების მატჩებში შეხვდებიან სსრ კავშირის ნაკრებს, 25, 26 და 28 მარტს კი ფინეთში ითამაშებენ. დასავლეთ გერმანიაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატში სასპარეზოდ გამგზავრებამდე ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი 29 და 30 მარტს მსოფლიო ჰოკეის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს შინ ორჯერ ეთამაშება.

## საბჭოთა დიდოსტატების ღია წერილი

საბჭოთა დიდოსტატებმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა ტ. პეტროსიანმა და მ. ტალმა, ე. გელერმა, ვ. კორჩნოიმ, გ. კუზმინმა, ლ. პოლუგაევსკიმ, აგრეთვე, საერთაშორისო ოსტატმა ა. ბელიავსკიმ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას (ფიდე) წერილი გაუგზავნეს. წერილში აღნიშნულია, რომ ფიდე, ეს უკვე მერამდენედ, სხვადასხვა ნაკლებ დამაჯერებელი საბაბით ივიწყებს იმ ობიექტურ პრინციპებსა და კრიტერიუმებს, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ოფიციალურ შეჯიბრებათა ჩატარების დროს. აი, ახლაც, ფიდე იწვევს საგანგებო კონგრესს ჰოლანდიაში. იქ, ორგანიზატორთა ვარაუდით, ხელახლა უნდა გადაისინჯოს მსოფლიო პირველობაზე ფინალური მატჩის რეგლამენტის საკითხი, რათა „რ. ფიშერისა და ა. კარპოვის მატჩის გადარჩენის მიზნით“ ამჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონს შეექმნას უკეთესი პირობები და მიეცეს წინასასტარტო ფორა ორი ქულის სახით.

წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ასეთი წინასწარ შემუშავებული დამოკიდებულება პრეტენდენტისადმი საბჭოთა მოჭადრაკეებს მიაჩნიათ უპატივცემულობად ყოველი მათგანისადმი, მსოფლიოში ყველაზე დიდი, ოთხმილიონიანი საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციისადმი, რომელმაც ამდენი გააკეთა ფიდე-ს ავტორიტეტის განმტკიცებისთვის.

წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია ემზადება, შეიძლება ითქვას, თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ყველაზე აღმაშფოთებელი დანაშაულისთვის, რომელმაც უნდა დაარღვიოს ფიდე-ს უმთავრესი პრინციპი: „ჩვენ ყველანი ერთი ოჯახი ვართ“. „უცერემონიოდ ავიწროებს რა თავისი ოჯახის ერთ-ერთ წევრს და დაუსრულებლად ცდილობს აამოს ნეორეს, — ნათქვამია წერილში, — ფიდე-ს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ დიდოსტატები გულგრილად შეხვდებიან ამგვარ ტენდენციურობას, უფრო ზუსტად, თვითნებობას“; „ფიდე-ს ხელმძღვანელობის ასეთი უმსგავსი საქციელი, მოწინავე საბჭოთა დიდოსტატთა ჯგუფის აზრით, მოჭადრაკეებს აიძულებს გადასინჯონ თავიანთი დამოკიდებულება ფიდე-ს ეგიდის ქვეშ ჩატარებული სხვადასხვა ოფიციალური შეჯიბრების, პირად და გუნდურ პირველობათა მიმართ“.

(საქინფორმი).

## სანიმუშოდ ჩავატაროთ კროსები „პრავდის“ პრიზზე!

ლელო
მრგვალ მაგიდასთან

# წინასასპარტაკიადო გაზაფხულის პრობლემები

• •

## კამათში დადგენილი ჭეშმარიტება

• •

ამ ბოლო ხანს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა რამდენიმე დიდი წერილი თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის პრობლემებზე. ყოველ წერილს საფუძვლად ედო ერთი საკითხი: რა მდგომარეობაა დღეს სპორტის ამ სახეობებში და რა პერსპექტივები აქვთ რესპუბლიკის საუკეთესო მოჭიდავეებს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში.

კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა საქართველოში სპორტის ჭეშმარიტად სახალხო სახეობებია. სწორედ ამით აიხსნება ჩვენი ფალავნების დიდი სახელი და ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე. ეს ავტორიტეტი წლების მანძილზე იქმნებოდა და ბოლოს რესპუბლიკის სპორტული სიძლიერის ეტალონად იქცა. საქართველოს შესანიშნავმა ფალავნებმა შორს გაითქვეს სახელი. მათ იცნობენ ყველგან, სადაც პოპულარულია ჭიდაობა, სადაც ნამდვილად ფასობს ახალგაზრდა ოსტატის მკლავისა და მუხლის ძალა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭიდაობის სიყვარული არ გახლავთ. ეს, ამავე დროს, ტრადიციაა, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდება ყველა, ვისთვისაც რესპუბლიკის, ერის სახელი ყველაზე ძვირფასია და საამაყო.

სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის შეშფოთება, რომელსაც სპორტის ამ სახეობების სპეციალისტები გამოთქვამდნენ „ლელოს“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებში. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს მუდამ: ჭიდაობა იყო და რჩება რესპუბლიკის სპორტული სიძლიერის მთავარ საზომად. ამიტომ, როცა საუბარია ჭიდაობის პრობლემებზე, ჩვენ, როგორც წესი, მხედველობაში გვაქვს უკეთესი შედეგებისთვის ბრძოლის ტენდენცია, აგრეთვე, ის, თუ რამდენად შეესაბამება ჭიდაობის დღევანდელი მდგომარეობა უმაღლეს საკავშირო სტანდარტებს, და ბოლოს, რა არის საჭირო იმისთვის, რომ უმოკლეს დროში აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებები.

ამ საკითხებს მიეძღვნა ორიოდე დღის წინათ ფალავანთა კლუბში გამართული საუბარი მრგვალ მაგიდასთან, რომელიც მოაწყვეს ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სპეციალიზებულმა რესპუბლიკურმა სკოლამ და გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ, სადაც თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მოწინავე მწვრთნელებმა, სპეციალისტებმა, სპორტსმენებმა.

**ნ. ხოხაშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.**

— ჩემი სიტყვა რამდენიმე ნაწილად უნდა დავყო. ეს ნაწილები, მართალია, ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ საბოლოო ჯამში ერთ არსს გამოხატავს:

1). სპორტსმენებს აშკარად აკლიათ თვითშეგნება მუშაობის პროცესში. ზოგი მოჭიდავე, ისე რომ არავინ ავალებს, რეგლამენტირებულზე მეტ დროს ანდომებს ვარჯიშს (მაგალითად, ბერიშვილი), ზოგი კი წვრთნას უყურებს, როგორც ვალის მოხდას;

2). ეს ყველაფერი გამოიწვია კონტროლის მოდუნებამ. კონტროლის მოდუნებით უნდა ავხსნათ ისიც, რომ რაიონები რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს, ფაქტიურად, არ აძლევენ ღირსეულ შევსებას;

3). ეს საკითხიც ერთგვარ კავშირშია თვითშეგნებასთან: ზოგმა მოჭიდავემ თავისი ნიჭის წყალობით მიაღწია ტიტულებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ათვისებული არა აქვს ჭიდაობის ანბანი. იგი მწვრთნელის შენიშვნასაც კი არ იღებს, ვინაიდან უკვე... ევროპის ჩემპიონია. სწავლა და დახმარება სჭირდება ყველას, მათ შორის — ჩემპიონებსაც;

4). სამწუხაროდ, ზოგი მოჭიდავე სპორტს სარგებლიანობის საზომით ზომავს. ეს მავნე და გადამდები სენი ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ. ყოველი მოჭიდავე, პირველ ყოვლისა, თავისი საქმისა და ხალხის პატრიოტი უნდა იყოს. იგი უნდა გრძნობდეს იმას, რომ ათი ათასობით გულშემატკივარი განიცდის მის წარუმატებლობას, უაღრესად მტკივნეულად ხვდება საყვარელი სპორტსმენის მარცხს. ჭიდაობა იმისთვისაც არის მოწოდებული, რომ სიხარული და ხალისი შეიტანოს მის თაყვანისმცემელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, საქმიანობაში;

5). კრიზისისგან სპორტის არც ერთი სახეობა არ არის დაზღვეული, მით უმეტეს, როცა თაობების ცვლა ხდება. ახლა კრიზისი აშკარად შენელდა და ჩვენ, მწვრთნელებს, გაათკეცებული მუშაობა გვმართებს, რათა დავუბრუნოთ საყვარელ სპორტს დიდება და სახელი.

**თ. მაჭავარიანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.**

— ჩემი აზრით, მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს პედაგოგიური პროცესის სწორად წარმართვას, დისციპლინასა და ერთსულოვნებას. გავხსნათ ფრჩხილები: არც ერთ რესპუბლიკაში, არც ერთ ქალაქში არ ვარჯიშობენ ისე ცოტას, როგორც ჩვენში. სხვაგან უკვე დიდი ხანია გადავიდნენ ორჯერად ვარჯიშზე, ჩვენ კი მას მხოლოდ ახლა ვნერგავთ და ისიც დიდი გაჭირვებით.

მწვრთნელი უფლებამოსილი ფიგურაა არა მარტო სარბიელზე, არამედ სპორტსმენის პირად ცხოვრებაშიც, დარწმუნებული ვარ, არც ერთმა ჩვენმა მწვრთნელმა არ იცის, რას აკეთებს სპორტსმენი ფალავანთა კლუბის კედლების მიღმა, როგორ ცხოვრობს, როგორ არის დატვირთული დღის განმავლობაში. სპორტსმენებთან მჭიდრო კავშირი პედაგოგიური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია.

მწვრთნელებს კონტაქტი არა აქვთ რაიონებთან. ბევრს ერცხვინება კიდეც, როცა მისი მოწაფე მარცხდება რაიონიდან ჩამოსულ ახალბედასთან, რომელსაც ფიზიკური მონაცემების გარდა არაფერი გააჩნია. არადა, ჩვენ გვყავს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭიდავე, ისეთი, რომელსაც თამამად შეუძლია ლელო გაიტანოს დიდ ტურნირებში. მათ აღზრდა და პატრონობა სჭირდებათ.

**ი. ალიხანოვი, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

— არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ჭიდაობა ჩვენს რესპუბლიკაში რეგრესის გზაზე დგას. ამის შესახებ დავწერე კიდეც „ლელოში“. მართალია, უწინ სპარტაკიადებში პირველობისთვის ვიბრძოდით, ახლა მხოლოდ მეორე ადგილებისთვის. აბა გამოთიშეთ კონკურენტთა რიგებიდან დაღესტანი და ჩრდილოეთ ოსეთი. სურათი იგივე იქნება. ჩვენ I ადგილისთვის მებრძოლთა შორის აღმოვჩნდებით. დაღესტანმა და ჩრდილოეთ ოსეთმა მართლაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჭიდაობაში, მაგრამ იქ დანერგილია მხოლოდ თავისუფალი სტილის ჭიდაობა. ჩვენ კი უძლიერესებს ვებრძვით კლასიკურშიც, ძიუდოშიც, სამბოშიც...

სულ სხვა საქმეა მწვრთნელთა კვალიფიკაცია, შრომის უნარი და ალღო. აქ, მაგალითად, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებისგან ბევრი რამ გვაქვს სასწავლი. ერთ შეჯიბრებაზე ერთი დაღესტნელი მწვრთნელი დაბეჯითებით მეუბნებოდა: აი, ნახეთ, ჩემი მოჭიდავე უეჭველად მოუგებს თქვენსასო. დავინტერესდი, რატომ იყო იგი ასე დარწმუნებული. იცით რა მიპასუხა? — მეც და მოჭიდავემაც ხუთი თითივით ვიცით რას გააკეთებს თქვენი სპორტსმენი. იგი ახლა ფეხს გადგამს წინ, ჩემი მოწაფე კი ფეხებში შეუვარდება და ჩოქბჯენში გადაიყვანსო. ერთი წუთის შემდეგ ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მან იწინასწარმეტყველა.

აი, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ისინი, ჩვენი მოწინააღმდეგენი, სპეციალურად ემზადებიან ამა თუ იმ მეტოქესთან ბრძოლისთვის; ისინი ბევრს ფიქრობენ და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის კონკრეტულ გასაღებს ეძებენ. ჩვენ კი ვემზადებით ერთი სტერეოტიპული მოწინააღმდეგისთვის.

**ნ. ოყროშიძე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

— ჩამორჩენას, რომლის შესახებაც დღეს აქ ვლაპარაკობთ, ერთი წლის ისტორია არა აქვს. მას საძირკველი ჩაეყარა დაახლოებით რვა წლის წინათ, — ნაყოფს კი ახლა ვიმკით. რატომ გაგვისწრეს დაღესტნის მოჭიდავეებმა? იმიტომ, რომ ისინი ბევრს მუშაობენ, ჩვენ კი — ცოტას. ძველი, დრომოჭმული შეხედულებები თამამად უნდა დავამსხვრიოთ. უფრო გაბედულად უნდა მივიღოთ ახალი, პროგრესული.

გახსოვთ, ალბათ, რამდენი ბრძოლა მოგვიხდა იმისთვის, რომ ორჯერად წვრთნაზე გადავსულიყავით. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ ამ სიახლის დანერგვაში თვით მწვრთნელები გვიწევდნენ წინააღმდეგობას. და მერე რა მოტივით: დღეში ორჯერ ვარჯიშზე რა მიგვიყვანსო?

მე თუ მკითხავთ, დღევანდელი სპორტის მდგომარეობისთვის ორჯერადი ვარჯიშიც უკმარია. ამბობენ, მოჭიდავეებს გაუჭირდებათ ერთბაშად დიდი დატვირთვების მიღებაო. მე კი ვიცი, რომ რესპუბლიკის ნაკრების ზოგიერთი წევრი მშდ კომპლექსის ნორმატივებსაც ვერ „მოერევა“. რომელ ჩემპიონებზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ დროს!?

არიან ისეთი სპორტსმენებიც, რომლებსაც მოთხოვნათა მთელი სია აქვთ ჩამოწერილი. თავიანთ სუსტ მომზადებას ისინი რაღაც გარეშე მიზეზებს აბრალებენ. მაგრამ აბა გავიხსენოთ, რა ჰქონდათ ხელთ ჩვენს ვეტერანებს ენთუზიაზმისა და საქმის სიყვარულის გარდა, როცა ჭეშმარიტ გმირობას ჩადიოდნენ?

**ა. ლულუნიშვილი, ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი.**

ორჯერად ვარჯიშზე გადასვლა, რა თქმა უნდა, სასარგებლოც არის და აუცილებელიც. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მოჭიდავეები ტკბილ ცხოვრებას იყვნენ შეჩვეულნი — კვირაში 2-3-ჯერ ვარჯიშობდნენ. ამიტომ ახალ ლიანდაგებზე ერთბაშად გადასვლა ძნელია. მე პირადად ბევრ მოჭიდავეს ვიცნობ, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ რბენა 10 კილომეტრზე, სარბიელზე კი არაფრად ვარგოდნენ. ფიზიკური დატვირთვის ინტენსივობის გაზრდა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს თვითმიზანი.

უნდა ვიბრძოლოთ სპორტსმენთა შეგნების ამაღლებისთვის. ყოველ მოჭიდავეს უნდა შთავუნერგოთ, რომ იგი, პირველ ყოვლისა, ახალი საზოგადოების მშენებელია და მისი სპორტული შედეგები მნიშვნელოვანწილად საერთო საქმის ერთი პატარა აგურია.

**რ. აბაშიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი კლასიკურ ჭიდაობაში.**

— თანამედროვე სპორტი წარმოუდგენელია მეცნიერებასთან მჭიდრო კონტაქტის გარეშე. ჩვენ, ნაკრები გუნდის ხელმძღვანელები, ყოველმხრივ ვცდილობთ დავნერგოთ და გავაღრმაოთ ეს კონტაქტი. სპორტისა და მეცნიერების კავშირმა ჩვენი გუნდის მაგალითზე უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: ნაკრები ორჯერად ვარჯიშზე გადავიდა.

დღეს სპარტაკიადისთვის ოცდაათი რჩეული მოჭიდავე ემზადება. მართალია, ჭიდაობას დიდი ხნის შესვენების შემდეგ დავუბრუნდი და ჯერჯერობით „ახალბედა მწვრთნელის“ როლში გამოვდივარ, მაგრამ მწამს, რომ კოლექტიური მუშაობით თავს არ შევირცხვენთ. ვიმეორებ, კოლექტიური მუშაობით და არა კინკლაობით. ჩემი ღრმა რწმენით, სპორტში საერთოდ, კერძოდ კი ჭიდაობაში, ატმოსფერო უნდა გაიწმინდოს. ჯანსაღი ურთიერთობა მწვრთნელებში, მოჭიდავეებში — აი, რა არის წარმატების მთავარი პირობა.

**შ. სალარაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის დირექტორი.**

— სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ყველგან შეიცვალა. შეიცვალა იგი ჩვენს სკოლაშიც და ეს მიმაჩნია მომავალი მუშაობის ქვაკუთხედად. სკოლას დიდი გეგმები აქვს, დიდი ამოცანები, მაგრამ ამ გეგმებს შიშველი ადმინისტრირებით, რა თქმა უნდა, ვერ განვახორციელებთ. გეგმისა და ამოცანების შესრულება ყოველი მწვრთნელისა და მოჭიდავის შინაგან მოთხოვნილებად უნდა ვაქციოთ. უნდა შევიგნოთ, რომ მიზანი ყველას ერთი გვაქვს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზა არსებობს.

როგორც სკოლის ხელმძღვანელი, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ კოლეგიალობის გრძნობის განვითარებას პედაგოგებში. ჩემი და შენი საქმე არ არსებობს. არის მხოლოდ ერთი საქმე — ეროვნული, საყოველთაო, სადაც ყველა ჩვენგანმა მაქსიმუმი უნდა გაიღოს.

**ვ. კუხიანიძე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.**

— აქ უკვე იყო საუბარი სპორტისა და მეცნიერების ურთიერთობაზე. ერთხელ კიდევ მინდა შევაჩერო ყურადღება ამ საკითხზე. საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება ბევრი საინტერესო მეცნიერული გამოკვლევა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი მწვრთნელები მათ არც იცნობენ. აი, მაგალითად, ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა ჩვენი თანამემამულის ნ. ოყროშიძის წერილი წვრთნის პროგრამირებაზე. ამ წერილმა გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. საქართველოში კი გამოკვლევამ შეუმჩნევლად ჩაიარა. სხვები ეცნობიან და სწავლობენ ჩვენი სპეციალისტების მეთოდებს, ჩვენ კი დანაშაულებრივ გულგრილობას ვიჩენთ მათ მიმართ.

ალბათ ამის გამო, რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელები საკუთარ ნაჭუჭში მოექცნენ. ისინი არც ცოდნასა და გამოცდილებას აზოგადებენ, არც სხვისას იღებენ.

**ვ. მაისურაძე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

— ახალგაზრდობასთან მუშაობა რთული და ფაქიზი საქმეა და მას ყველა ერთნაირად, რა თქმა უნდა, თავს ვერ გაართმევს. მწვრთნელს ფანატიკურად უნდა უყვარდეს თავისი მოვალეობა, უნდა ათენებდეს და აღამებდეს დარბაზში, შრომისმოყვარეობის მაგალითს უნდა აძლევდეს ახალგაზრდას.

სამწუხაროდ, მწვრთნელები დიდ დროს ანდომებენ კინკლაობას და სპორტსმენთა გადაბირებას. ამით არაჯანსაღ დამოკიდებულებას ქმნიან ოჯახში, დიდ ოჯახში, ვინაიდან კოლექტივი, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, სადაც ოფლს ვღვრით საერთო საქმისთვის, ოჯახია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ახალგაზრდის ფსიქიკაზე ყველაფერი ერთნაირად მოქმედებს — დადებითი ემოციებიც და უარყოფითიც. ამიტომ ხელი ხელს ჩავკიდოთ, და ჩვენი მომავალი დადებითი ემოციების საფუძველზე აღვზარდოთ. პატივი ვცეთ ერთმანეთის შრომას, პატივი ვცეთ იმ დიდ მიზანს, რასაც საქართველოს სპორტის ინტერესები ჰქვია.

**ლ. კაპიტანოვი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

— ჩემი აზრით, ყველაზე სწორია და დროული რეზერვზე საუბარი. თუ დღესვე ზომები არ მივიღეთ საამისოდ, ხვალ შეიძლება უკვე გვიან იყოს და ერთობ არასახარბიელო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდეთ.

მაგრამ სად უნდა ვეძებოთ რეზერვები? პირველ ყოვლისა სპორტსაზოგადოებებში, რომლებმაც რატომღაც მთელი ფუნქციები ჭიდაობის სკოლას გადააბარეს. ეს დანაშაულია. საქმის გადაბარება ადვილია, გაკეთება კი ძნელი. უყურადღებოდ გვყავს მიტოვებული რაიონებიც, მომავალი ოსტატების ძირითადი სამჭედლო. თბილისში ყოფნა და მუშაობა, რა თქმა უნდა, კარგია, ოღონდ იცოდეთ, რომ ნამდვილი ფალავნები იქ არიან, რაიონებში. ჩემი აზრით, სპორტკომიტეტმა რეგულარული კონტაქტი უნდა დაამყაროს რაიონებთან, გაგზავნოს იქ გამოცდილი, საქმის მოყვარული მწვრთნელები და ქმედითი კონტროლი გაუწიოს მათ მუშაობას.

**ი. ჩხარტიშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

— საქართველოს რაიონებში მაღალი კლასის მოჭიდავეთა აღზრდის უშრეტი შესაძლებლობები არსებობს, მაგრამ იქ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ერთობ პრიმიტიულად წარმოებს. ამას გარდა, რაიონებს ვარჯიშისთვის ელემენტარული პირობებიც არ გააჩნიათ.

მე ხშირად მიხდება ყოფნა მახარაძეში. იქ ბევრი ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდაა. არიან ენთუზიასტი მწვრთნელებიც, მაგრამ უვარგისი პირობების გამო ძნელი დასაჯერებელია, რომ შრომამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს.

ჭიდაობის სკოლამ ამას წინათ თითოეულ მწვრთნელს ბრძანებით მიამაგრა რამდენიმე მოჭიდავე. მწვრთნელებმა პასუხი უნდა აგონ მათს ფიზიკურ და ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაზე. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. აღმზრდელი ამავე დროს პასუხისმგებელი უნდა იყოს სპორტსმენის ყოველ ნაბიჯზე, მისი ცხოვრების სხვა დეტალებზეც, ვარჯიშის გარდა. ერთი სიტყვით მწვრთნელებმა უნდა გავამახვილოთ კონტროლი სპორტსმენებზე.

**გ. კარტოზია, სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი.**

— აქ გამოსულ მწვრთნელთა და სპეციალისტთა უმრავლესობა თავგამოდებით იცავდა ორჯერადი ვარჯიშის პრინციპს. ესე იგი, ასეთი მეთოდებით წვრთნა საჭირო ყოფილა. თუ კი რომელიმე მწვრთნელს ან სპორტსმენს ეს პრინციპი მიუღებლად მიაჩნია, გაბედულად უნდა ვთქვათ უარი მასზე. სპარტაკიადა კარსაა მომდგარი და ახლა შეღავათებისთვის დრო, მეტი რომ არა ვთქვათ, აღარ გვაქვს. ის, ვინც ფეხდაფეხ არ მოგვყვება, უნდა გავწიროთ, რაგინდ საჭიროც უნდა იყოს. შეიძლება დღეს გუნდმა ამით დანაკლისი განიცადოს, მაგრამ საბოლოო ჯამში, მერწმუნეთ, ჭიდაობა აუცილებლად მოიგებს.

სულ სხვა საკითხია ორჯერადი წვრთნა და ამ მეთოდისადმი ინდივიდუალური მიდგომა. ამისთვის არსებობს მეცნიერება, არსებობს მწვრთნელთა საბჭო, არსებობს წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. ავწონ-დავწონოთ, შევაფასოთ და გადავწყვიტოთ, ვინ როგორ ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ 10 კილომეტრზე რბენა სულ სხვა „სუნთქვას იძლევა“ და „ლეიბის სუნთქვა“ სულ სხვა რამ არის. ჩემი აზრით, მოჭიდავემ არ უნდა დაკარგოს ეს მეორე, მაგრამ თუ მძლეოსნური ვარჯიშები მას გარკვეულ უპირატესობას აძლევს, ისიც უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ. ვიმეორებ, ეს სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ.

აქ მჯდომმა ყველამ კარგად იცის, რომ თბილისში, სულ ცოტა, 100 მწვრთნელი მაინც მუშაობს კლასიკურ ჭიდაობაში. აბა წარმოიდგინეთ, თითომ წელიწადში თითო საშუალო კლასის მოჭიდავე მაინც რომ აღზარდოს, განა გვექნებოდა აქ საუბარი რეზერვზე? მუშაობა ათასგვარია. მაგრამ, როცა 100 მწვრთნელი ათკაციანი გუნდის დაკომპლექტებას ვერ აუდის, ნამდვილ მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ხშირად სპორტსმენები საყვედურობენ, ზემდგომი ორგანოები სწავლაში არ გვეხმარებიანო. სწავლაში დახმარება შეიძლება წიგნებით, კონსულტაციებით, მითითებებით და სხვა მეთოდური საშუალებებით. სხვა რა სახის დახმარებაზე შეიძლება იფიქროს სპორტსმენმა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ სპეციალისტი უნდა გახდეს?

ერთ მაგალითს მოვიყვან. ერთი ხელბურთელი გოგონა, რომელიც რესპუბლიკის ნაკრებში თამაშობს, ინსტიტუტში დახმარებას ითხოვდა. დავინტერესდი და იგი საგანგებოდ წამოვატარე პედაგოგებთან. ვერც ერთმა მათგანმა ვერ იცნო სტუდენტი. განა ეს კურიოზი არ არის?

სამწუხაროდ, ზოგი მოჭიდავე სპორტისგან რაღაც სარგებელს ელის. არიან ისეთი მწვრთნელებიც, რომლებიც სპორტსმენებს კარდაკარ დაჰყვებიან სხვადასხვა ინსტანციაში. ეს მავნე ჩვევა ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ. კარგი სპორტსმენი ნამდვილი სახალხო გმირია. მას თაყვანს სცემენ, როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს. მის სახელს მოწიწებით იმეორებს დიდი და პატარა, მათ ჰბაძავენ. განა ეს ცოტაა, განა ეს საამაყო არ არის!

მსოფლიოს ჩემპიონატებში გამარჯვების შემდეგ მუდამ ერთი სული მქონდა ჩქარა ჩამოვსულიყავი თბილისში და შემეხედა ჩემი ამხანაგებისთვის, მეგობრებისთვის, ნათესავებისთვის, ხალხისთვის. მათი სიყვარული ყველაზე დიდი სიხარული იყო ჩემთვის. ჭეშმარიტმა სპორტსმენმა ერის ნდობას საქმით უნდა უპასუხოს და, თუ საქმემ გამოაჩინა, იკმაროს ხალხის სიყვარული, როგორც ყველაზე დიდი და ძვირფასი ჯილდო. გამარჯვება არასდროს არ არის სპორტსმენის საკუთრება. იგი საზოგადოების წილიცაა, იმ საზოგადოებისა, რომელმაც სპორტსმენს თავის გამოჩენის მიზნით ზრუნვა და სიყვარული არ დააკლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი
'75

## საკონტროლო მატჩები

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, წინასასეზონო მზადებას გადიან შავი ზღვის სანაპიროზე, ლესელიძეში. გასულ კვირას თბილისელები საკონტროლო მატჩში შეხვდნენ მოსკოველ თანაკლუბელებს და ფრედ ითამაშეს — 1:1. მოსკოველთაგან ბურთი გაიტანა ბასალაევმა, ხოლო ანგარიში გაათანაბრა გ. ნოდიამ.

მანამდე თბილისის დინამოელებმა წააგეს მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 0:1, ფრედ ითამაშეს დონეცკის „შახტიორთან“ და ოდესის „ჩერნომორეცთან“ (ორივესთან — 0:0) და დაამარცხეს დონის როსტოვის ასკ — 1:0.

## „სიჭაბუკის თასი“

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული „სიჭაბუკის თასის“ გათამაშება 15-16 წლის ფეხბურთელთათვის წლეულს მეთორმეტედ ჩატარდება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადისა და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები.

წლევანდელი გათამაშების მონაწილე 18 გუნდი დაყოფილია სამ ზონად. აქ I-II ადგილებზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ფინალში, სადაც გათამაშდება უშუალოდ თასი. მატჩების ხანგრძლივობაა 70 წუთი. თამაშის მსვლელობაში ყოველ გუნდს შეუძლია 6 ფეხბურთელის შეცვლა.

ზონალური შეჯიბრებები ჩატარდება 3-11 ივლისს. ზონათა შემადგენლობანი ასეთია:

პირველი — უკრაინა, „შრომითი რეზერვები“, თურქმენეთი, მოლდავეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი;

მეორე — სომხეთი, ბელორუსია, რსფსრ, მოსკოვი, ლატვია, ყირგიზეთი;

მესამე — უზბეკეთი, ესტონეთი, ლენინგრადი, საქართველო, ლიტვა, აზერბაიჯანი.

ფინალი გაიმართება 13-21 აგვისტოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ნორჩი ფეხბურთელები ყველაზე მეტჯერ იყვნენ „სიჭაბუკის თასის“ მფლობელები (1968, 1969, 1970, 1972, 1973 წლებში). ორ-ორჯერ აქვთ მოპოვებული პრიზი მოსკოველებსა და უკრაინელებს, თითოჯერ — რსფსრ-სა და უზბეკეთის გუნდებს.

● ●

## „იმედის თასი“

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა „იმედის თასი“ 17-18 წლის ფეხბურთელთათვის დააწესა 1964 წელს. ამ თასის გათამაშებაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადისა და „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები.

წლევანდელი გათამაშების ზონალური მატჩები ჩატარდება 19-28 ივლისს.

I ზონაში გამოდიან: საქართველო, „შრომითი რეზერვები“, უზბეკეთი, ლიტვა, რსფსრ, ყირგიზეთი;

II ზონაში — ყაზახეთი, თურქმენეთი, სომხეთი, ლატვია, ესტონეთი, მოსკოვი;

III ზონაში — ბელორუსია, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, ლენინგრადი, უკრაინა, მოლდავეთი.

ზონებში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები ჩავლენ ფინალში, რომელიც ნოემბრის დამდეგს გაიმართება.

„იმედის თასს“ სამჯერ ფლობდნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები, ორ-ორჯერ — უკრაინისა და საქართველოს გუნდები, თითოჯერ — უზბეკეთის, ლენინგრადისა და აზერბაიჯანის კოლექტივები.

# საქართველოს პირველობა დაიწყო

პირველი მატჩები ასე წარიმართა:

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მატჩი დაიწყო საინტერესო და ხშირი ორმხრივი იერიშებით. ბრძოლის ბედი გადაწყვიტა 69-ე წუთზე „ვარძიის“ კარში დანიშნულმა 11-მეტრიანმა დარტყმამ, რომელიც ლოგუამ გამოიყენა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიეცა ასპინძელ პ. წამალაშვილს.

● „დურუჯი“ (ყვარელი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 0:0. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

I ჯგუფის დებიუტანტებმა, მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერ მიაღწიეს წარმატებას და თანაბრად გაიყვეს ქულები.

● „კოლხეთი“ (ფოთი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მასპინძლებს შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ არც ხობელები რჩებოდნენ ვალში და რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან. მატჩის დასასრულს 2 წუთი აკლდა, როცა ფოთელთა ერთ-ერთი იერიშისას ბურთი მოხვდა ხობელთა მცველ ფარცვანიას და ჩაიჭრა კარში.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი ი. კუხიძე (ბათუმი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლის შემდეგ სტუდენტებმა საგრძნობლად გააძლიერეს იერიშები, ამას დაემატა განთიადელთა მეკარის შეცდომები, რაც დამთავრდა სართანიას და დარახველიძის მიერ გატანილი ორი გოლით.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა (ჯოჯუა), ხოლო საპასუხო ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა მურადიანმა.

● უნივერსიტეტი (თბილისი)— პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:5. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

უნივერსიტეტის ფეხბურთელები აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ამ მატჩისთვის და ყოველმხრივ ჩამოუვარდებოდნენ მოწინააღმდეგეს. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ბეჟაშვილმა, კვარაცხელიამ, ჟორდანიამ, მახარაძემ და ხიდიშელმა. ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით შეძლო ცხოიძემ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია უნივერსიტეტის ფეხბურთელი გ. ცხოიძე.

● „დინამო“ (სოხუმი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

პირველ წარმატებას დინამოელებმა მიაღწიეს 23-ე წუთზე (გაბისკირია), ხოლო შემდეგ კაკულიამ განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება.

● „კახეთი“ (თელავი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3:3. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

ტაიმი მოიგო „კახეთმა“ (ბურთი გაიტანა რევაზიშვილმა), რომელსაც შეეძლო კიდევ უფრო დაწინაურებულიყო, ცირეკიძეს მიზნისთვის რომ არ აეცილებინა პენალტი. მეორე ტაიმში კვიტაიშვილმა გაქვითა გოლი, ხოლო კრესტიანინოვმა კიდევ ზედიზედ ორჯერ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. მხოლოდ ძალების უკიდურესი დაძაბვის შემდეგ შეძლეს თელაველებმა თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის (აბდულაევი, ცირეკიძე).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა თელაველ ო. თვალიაშვილს.

## თამაშობენ ჭაბუკები

შედგა საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ჩემპიონატის 2 ტურის მატჩები. მოგვყავს მათი შედეგები:

დასავლეთი ზონა. „ტორპედო“ (ქუთაისი) — განათლების განყოფილება (ქუთაისი) 6:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:2, ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 4:0, „დინამო“ (სოხუმი) — განათლების განყოფილება (ბათუმი) 2:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — განათლ. განყ. (ქუთაისი) 2:3, განათლ. განყ. (ბათუმი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0; „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (სოხუმი) 4:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0, „დინამო“ (ბათუმი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 0:0.

აღმოსავლეთი ზონა. განათლების განყოფილება (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 3:0, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „სპორტინტერნატი“ (თბილისი) 0:0, „ავაზა“ (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 1:2, „დინამო“ (თბილისი) — განათლ. განყ. (თბილისი) 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დილა“ (გორი) 1:0, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:5, „სპორტინტერნატი“ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი) 1:0.

# ასეთი ამბები ყოვლად დაუშვებელია

## მეტი კონტროლი მსაჯობას!

8 მარტს დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში. იმ დღეს ფიზკულტურის ინსტიტუტის მინდორზე შედგა კალენდარული მატჩი მასპინძელთა გუნდსა და თბილისის „განთიადს“ შორის.

თამაში დაიწყო 12 საათზე და, ამდენად, უნდა ვიფიქროთ, ეს იყო ჩემპიონატის პირველი მატჩი, რომელსაც შეძლების ფარგლებში ესაჭიროებოდა გათამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალი. მაგრამ ამ ბაზას საზეიმო განწყობილებისა არაფერი ეტყობოდა. რა გახსნაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა თვით სათამაშო მინდორი ყოვლად უვარგისი იყო. აქ ყოველდღე ვარჯიშობენ მძლეოსნები და ბირთვის, შუბისა და ბადროს ნაკვალევი ღრმადაა „აღბეჭდილი“ ნიადაგზე. პატარა მონდომების გამოჩენისას შეიძლებოდა ამ უსწორმასწორო ადგილების მოსწორება და სათამაშო მინდვრისთვის ნორმალური სახის მიცემა.

მიუხედავად ამისა, ორივე გუნდის მოთამაშეებმა სეზონის ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელი მომზადება გამოავლინეს. მატჩი მიმდინარეობდა საინტერესოდ, კორექტულად, მაგრამ სათანადო სიმაღლეზე არ იდგა მსაჯობა. არბიტრმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ჭკუასელმა არ დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, როცა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის მცველმა აშკარად დაარღვია წესი თავის საჯარიმო მოედანზე. მან თამაში გააჩერა და... საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ გამოიტანა ბურთი უბრალო საჯარიმო დარტყმის შესასრულებლად.

სეზონი მხოლოდ ახლა დაიწყო, მსაჯთა შეცდომებს კი უკვე საკმარისად ვხედავთ. 1 მარტს თბილისის „სინათლის“ სტადიონზე შედგა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩი მწვრთნელთა სკოლისა და თბილისის განათლების განყოფილების გუნდებს შორის. იმის გამო, რომ მსაჯი არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, ფეხბურთელები დაურიდებლად უხეშობდნენ, რაც ბოლოს ხელჩართულ მუშტი-კრივში გადაიზარდა. თავპირდასისხლიანებულ მოთამაშეებს ექიმის დახმარება დასჭირდათ.

აქვე ითამაშეს სკოლა-ინტერნატისა და ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდებმა, მატჩის დროს მოხდა კურიოზი: ინტერნატის გუნდის მოთამაშემ შორიდან გაიტანა გოლი, რომელიც არბიტრმა ცხაკაიამ ჩათვალა. ამ დროს მინდორზე შემოიჭრა პალტოში გამოწყობილი გვერდითი მსაჯი წითელი ალმით ხელში და, კატეგორიულად მოსთხოვა არბიტრს არ ჩაეთვალა გოლი „თამაშგარე მდგომარეობის“ გამო. ცხაკაია მას დაეთანხმა და გააუქმა თავისი პირვანდელი სწორი გადაწყვეტილება. ასე, შემთხვევითმა პიროვნებამ, რომელსაც არც მსაჯის წოდება აქვს, არც კატეგორია, შეცდომაში შეიყვანა არბიტრი.

ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ მსაჯების მომზადების საკითხი ჩვენში არ დგას საჭირო სიმაღლეზე, საქალაქო და რესპუბლიკური სამსაჯო კოლეგიები არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს, არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს კალენდარული მატჩების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

მოვიყვან კიდევ ერთ ფაქტს. სულ ახლახან თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყო ტრადიციული საქალაქო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში ნორჩთა შორის. იგი საინტერესოდ ჩატარდა და, როგორც ყოველთვის, მაყურებელიც საკმაოდ ჰყავდა, მაგრამ დარღვევა აქაც მოხდა. პირველ მატჩში სათამაშო მოედანი არ იყო დახაზული, როგორც საჭიროა და ტურნირის ორგანიზატორთა უყურადღებობის წყალობით წესებიც ირღვეოდა.

მსაჯობის კვალიფიკაციას და დონეს დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხბურთში. ხარისხიანი მსაჯობა ხელს უწყობს ამ თამაშის განვითარებას, ამიტომ მას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. ყოველი მატჩის ჩამტარებელი მსაჯი უნდა გრძნობდეს დიდ პასუხისმგებლობას და მოვალეობის სრული შეგნებით ეკიდებოდეს თამაშს. საჭიროა მკაცრი კონტროლის დაწესება რესპუბლიკური და თბილისის მსაჯთა კოლეგიების მხრივ. საქმეს არგებს ისიც, თუ სპორტული პრესა მეტ ადგილს დაუთმობს მსაჯობის ხარისხს, დროულ ანალიზს გაუკეთებს ცალკეულ შეხვედრათა მომსახურებას, საქმიანი შენიშვნებით ხელს შეუწყობს არბიტრთა საქმიანობის გაუმჯობესებას.

**ვ. რამიშვილი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# თასები, თასები... ✓

### ინგლისი

ამას წინათ ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ეროვნული ლიგის თასის გათამაშების ფინალისტები — „ნორვიჩ სიტი“ და ბირმინგემის „ასტონ ვილა“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკვე ნახევარფინალში შეჯიბრებას გამოეთიშა პირველი ლიგის ყველა გუნდი და ორივე ფინალისტი II ლიგის წარმომადგენელია.

თამაში ბირმინგემელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მათ დიდხანს ვერ შეძლეს წარმატების მოპოვება — მეტოქე გუნდის მეკარე უშლიდათ ხელს.

„ასტონ ვილის“ თავდამსხმელმა მხოლოდ მე-80 წუთზე შეძლო გოლის გატანა, მას შემდეგ, რაც მეკარემ 11-მეტრიანი საჯარიმო მოიგერია — ბურთი მოხვდა ძელს, უკან დაბრუნდა და... ანგარიშიც გაიხსნა.

ამ ერთადერთმა გოლმა „ასტონ ვილას“ გაისად უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოუპოვა.

(საქ. ინფ).

● ●

### უკან დაბრუნებას აპირებს

მარსელის „ოლიმპიკში“ მოთამაშე ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პაულო ცეზარმა განაცხადა, რომ იგი აპირებს თავისი ორწლიანი კონტრაქტის დარღვევას და სამშობლოში დაბრუნებას. მისი ოჯახი კვლავინდებურად რიო-დე-ჟანეიროში ცხოვრობს და ფეხბურთელს ძალიან უმძიმს მასთან განშორება.

### ბენე გამოეთხოვა ნაკრებს

როგორც ბუდაპეშტში გამოცხადდა, უნგრეთის ნაკრებს გამოეთხოვა განთქმული სნაიპერი ბენე, თუმცა იგი გააგრძელებს თამაშს „უიპეშტ დოჟის“ შემადგენლობაში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბენე თითქმის უცვლელად გამოდიოდა ნაკრებში 12 წლის მანძილზე. მისი დებიუტი ამ გუნდში შედგა 1962 წლის ოქტომბერში იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ.

### ამსტერდამის იუბილეს ეძღვნება

8-10 აგვისტოს ამსტერდამში ეწყობა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, მიძღვნილი ქალაქის დაარსების 700 წლისთავისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ „ფკ ამსტერდამი“, „ფეიენოორდი“ (როტერდამი), „ბარსელონა“ (ესპანეთი), „რასინგ ვიტი“ (მოლენბეკი, ბელგია).

თავდაპირველად განზრახული იყო, რომ ტურნირს მოაწყობდა ამსტერდამის განთქმული კლუბი „აიაქსი“, მაგრამ მან უარი განაცხადა ფინანსური დაბრკოლებების გამო და არც ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

### მოსწავლეთა შორის

უეფა-მ მიიღო გადაწყვეტილება ევროპის მოსწავლეთა პირველი ტურნირის მოწყობის შესახებ. იგი დასავლეთ გერმანიაში გაიმართება 29 აპრილიდან 7 მაისამდე ინგლისის, საფრანგეთის, შოტლანდიის, ჰოლანდიის, ირლანდიის, უელსის, შვეიცარიისა და გფრ-ის გუნდების მონაწილეობით.

### წლეულს არ გაიმართება

როგორც ლონდონში გამოცხადდა, წლეულს არ გაიმართება ტრადიციული შეხვედრა ინგლისისა და შოტლანდიის ლიგების ნაკრებ გუნდებს შორის. საქმე ისაა, რომ ორივე ფედერაციის კალენდარი მეტისმეტად გადატვირთული აღმოჩნდა.

### კიდევ ორი წლით?

როგორც მადრიდის სპორტული გაზეთი „ასი“ იუწყება, იოჰან კრუიფი კიდევ 2 წლით განაახლებს თავის ხელშეკრულებას „ბარსელონასთან“, რომელიც 1976 წლის ზაფხულში მთავრდება.

ეს ცნობა რამდენადმე მოულოდნელია მას შემდეგ, რაც კრუიფმა განცხადება გააკეთა ჰოლანდიაში დაბრუნების შესახებ.

### აველანჟის განცხადება

ფიფა-ს პრეზიდენტმა აველანჟმა განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ნაკრები გუნდების მატჩის გამართვის შესახებ.

პრეზიდენტის სიტყვით, შეხვედრა მოეწყობა ივნისში (რიცხვი მოგვიანებით დადგინდება) რიო-დე-ჟანეიროში, „მარაკანის“ სტადიონზე.

### ასე შეარჩევენ ფინალისტებს

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი შეჯიბრება სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისთვის გაიმართება 16 იანვრიდან 15 აპრილამდე ბრაზილიაში. სულ ბრძოლაში ჩაებმება 10 ნაკრები. მათ ორ ჯგუფად დაყოფენ. ამ ჯგუფებიდან 2-2 გუნდი კიდევ ერთ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, საიდანაც 2 კოლექტივი მონრეალის ოლიმპიადის საგზურებს მიიღებს.

აზიის ქვეყნები წინასწარ ზონებად არიან დაყოფილი. განზრახულია ტურნირების მოწყობა ირანში, ინდონეზიაში, ისრაელსა და იაპონიაში.

PRZEGLAD SPORTOWY   Sport   SPORTSKE NOVOSTI   Népsport   sportowiec

ბიბლიოთეკა

# პირველი რეაქტივია

დასასრული

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილებას „საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ“, რომელშიც რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობის გზებია დასახული, ეტყობა, აფხაზეთამდე ჯერ არ მიუღწევია. ასე რომ არ იყოს, პირველ ყოვლისა სწორედ სტენდის აღდგენისთვის იზრუნებდნენ, ვინაიდან თავის დროზე ამ სახეობაში მდიდარი ტრადიციები ჰქონდათ. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საკმარისია ითქვას, რომ აფხაზეთმა რესპუბლიკის ნაკრებს კ. დარასელია მისცა.

— კარგა ხანია სტენდზე ფეხიც არ დამიდგამს, შეჯიბრებაში კი არა, საწვრთნელ მეცადინეობაშიც არ მიმიღია მონაწილეობა, ვინაიდან ჩვენში წვრთნის პირობები არ არის. სპორტში დაბრუნებას აღარც ვაპირებდი, მაგრამ, რაკი საქართველოს ნაკრებს დავჭირდი, უარს ვერ ვიტყვი, — გვითხრა კარლო დარასელიამ.

სოხუმელ ოსტატს რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში ბევრჯერ წარმატებით უასპარეზნია, იყო სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი. ჩვენ გვჯერა მისი ნიჭისა. და თუ მოინდომებს და სათანადო ხელშეწყობაც ექნება, კარლო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში ინტენსიური ვარჯიშით დანაკლისს აინაზღაურებს.

კ. დარასელიამ ამ მატჩში დაამტკიცა, სპორტული ფორმის მალე აღდგენისა და ბრძოლის უნარი რომ აქვს. ადგილიდან სროლაში იგი გუნდში თბილისელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან ზ. მაჩხანელთან ერთად გამოდიოდა (მატჩი სპარტაკიადის ფორმულით ჩატარდა. გუნდებიდან ცალკეულ ვარჯიშებში 2-2 სპორტსმენი გამოდიოდა). სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში სწორედ ამ დუეტმა, აგრეთვე, ი. საგანელიძემ და ვ. ალავერდოვმა ყველაზე მეტი ქულა მოაგროვეს და ოქროს მედლებიც დაისაკუთრეს.

რსფსრ-ს კოლექტივის ღირსებას იცავდნენ ოსტატები ვ. კოშინი და გ. ვლასოვი. ისინი, ისევე როგორც რესპუბლიკის ნაკრების სხვა წევრები, საწვრთნელ შეკრებას კარგა ხანია თბილისში გადიან, შეჯიბრებასაც მომზადებული შეხვდნენ და გაიმარჯვეს კიდეც. მათ 360 ქულა მოაგროვეს 400-დან, მაჩხანელმა და დარასელიამ კი — 358. დარასელიამ 200-დან 173 ქულა მოაგროვა და გუნდურ ჩათვლაში IV ადგილი დაიკავა.

მაგრამ ამ შედეგისთვის სოხუმელი სპორტსმენი საყვედურს სრულიადაც არ იმსახურებს, ვინაიდან მის ადგილზე სხვა გაცილებით უარესად გამოვიდოდა. კარლომ კი ორი დღის მანძილზე მოპოვებული მაჩვენებლებით იმედი ჩაგვისახა იმით, რომ სპორტული ფორმის ნაწილობრივ აღდგენა სულ მალე შეძლო: თუ პირველ დღეს 100-დან 83 ქულა მოაგროვა, მეორე დღეს 90 სამიზნე გატეხა, თანაც ბოლო ორ სერიაში მხოლოდ 2 ქულა დაკარგა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მასპინძლები სტუმრებთან პირველი დღის მერე 9 ქულას აგებდნენ, შემდეგ კი მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორეს, აშკარაა, რომ ჩვენმა ადგილიდან მსროლელებმა სპარტაკიადაში გუნდური საპრიზო ადგილისთვის უნდა იბრძოლონ.

პირად პირველობაში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა მაჩხანელმა — 185 200-დან, სპორტის ოსტატის ნორმატივი მხოლოდ მან შეასრულა — მეორე 100 გასროლით 97 სამიზნე გატეხა. II ადგილზეა ვლასოვი — 184 ქულა.

რაც შეეხება მრგვალ სტენდზე შეჯიბრებას, თბილისელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს თ. მატოიანს ამჯერად მხარში ამოუდგა სპორტის ოსტატი ა. სეროვი. ამ დუეტმა სტუმართა წყვილის (ა. ესელევიჩი, ს. პროტასოვი) წინააღმდეგ ბრძოლაში 369 ქულით გაიმარჯვა. რსფსრ-ს მესტენდურეებმა 364 ქულა მოაგროვეს.

პირადი პირველობა მოიგო მატოიანმა, რომელმაც 186 ქულა მოაგროვა. ესელევიჩის შედეგია 185 ქულა. III ადგილი ერგო სეროვს — 183.

კომპლექსურ ჩათვლაში მატჩი საქართველოს ნაკრებმა მოიგო — 727 ქულა. სტუმრები გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩნენ.

ო. გელაშვილი.

ამ სპორტსმენის სახელთან საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიის ბევრი სახელოვანი ფურცელია დაკავშირებული. მოსკოველმა ანა დმიტრიევამ პირველმა მოიპოვა წარმატება საერთაშორისო სარბიელზე და მოიგო უიმბლდონის ტურნირი ქალიშვილთა შორის. ახლა მან დიდი სპორტი დატოვა, მაგრამ მისი ოსტატობა, ჭკვიანური, საინტერესო თამაში ჩოგბურთის მოყვარულებს დიდხანს ემახსოვრებათ.

ბ. კამენსკის ფოტო.

## სათხილამურო სპორტი

**სტოკჰოლმი.** ორჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა უ. ველინგმა (გდრ), რომელმაც 438,92 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა შ. ხულამ (პოლონეთი) — 414,68, III — ი. ეტალაჰმა (ფინეთი) — 411,1.

**ბერნი.** გიგანტურ და სპეციალურ სლალომში ქალთა შორის შვეიცარიის ჩემპიონი გახდა ლ.-მ. მორეროდი. ვაჟთა შორის გიგანტური სლალომი მოიგო ჰ. ჰემიმ.

**ტოკიო.** იაპონიის რადიო და ტელევიზიის კორპორაციის თასისთვის 47 „მფრინავი მოთხილამურე“ იბრძოდა 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ყველას აჯობა ხ. იტაგაკიმ, რომელიც 105 და 110 მეტრზე გადახტა. II ადგილზეა ი. კასაია, III — კ. კაკუტა.

**ოტავა.** გიგანტურ სლალომში კანადის ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის — მ. კლიფორდი — 1.96,65, ვაჟთა შორის — რ. ჰენტერი — 2.14,73.

## მძლეოსნობა

**მადრიდი.** დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მძლეოსანთა მატჩი დარბაზში სტუმრებმა მოიგეს — 70:51. დიდი ბრიტანეთის მძლეოსნებმა პროგრამის 11 სახეობიდან რვაში I ადგილები დაიკავეს.

**მარ-დელ-პლატა.** ხ. ველიომ არგენტინის ჩემპიონატში უროს ტყორცნაში ეროვნული რეკორდი დაამყარა — 65,06 მ.

## ხელბურთი

**პარიზი.** როგორც აქ გამოცხადდა, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავის რიგებში მიიღო ახალი წევრები: კუბა, ინდოეთი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ნიგერია, კიპროსი და ჰონკონგი. ფედერაციამ გადაწყვიტა, აგრეთვე, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება და ახალგაზრდული გუნდების (21 წლამდე) ჩემპიონატი 1975-76 წლებში ჩაატარონ, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატები კი 1977 წელს შვეციაში (იუნიორებისთვის) და რუმინეთში (ქალიშვილებისთვის).

სსრ კავშირის ჩემპიონატი



## არმიელთა მთავარი კოზირი

მოსკოვი, 10 მარტი. სისწრაფე ცსკა-ს მთავარი კოზირი იყო თბილისის დინამოელებთან მატჩში. არმიელმა კალათბურთელებმა შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყვიტეს (53:35), შეხვედრის მეორე ნახევარი კი ამ უპირატესობის „გამაგრებას“ მოანდომეს. ცსკა-მ გაიმარჯვა — 97:65.

უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლაში პრაქტიკულად მონაწილეობა არ მიუღია თბილისელთა ლიდერს მ. ქორქიას, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში დაშავდა...

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ.“ | 30 | 26 | 4 | 2521—2085 | 26 |
| ცსკა | 29 | 23 | 6 | 2788—2405 | 23 |
| „დ.“ (მ.) | 28 | 20 | 8 | 2359—2210 | 20 |
| „დ.“ (თბ.) | 29 | 18 | 11 | 2415—2384 | 18 |
| „ჟალგ.“ | 32 | 17 | 15 | 2703—2745 | 17 |
| „სტროიტ.“ | 32 | 13 | 19 | 2673—2680 | 13 |
| „კალევი“ | 28 | 12 | 16 | 2234—2251 | 12 |
| რტი | 32 | 9 | 23 | 2342—2866 | 9 |
| „სტატ.“ | 32 | 9 | 23 | 2535—2789 | 9 |
| „ურალ.“ | 30 | 4 | 26 | 2416—2871 | 4 |

## „იმედის თასი“

თბილისში, ოქტომბრის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში მოეწყო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში „იმედის თასზე“. სარბიელზე გამოვიდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, კალინინის რაიონის სპორტსკოლის, „სპარტაკის“, მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის სკოლის, თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის 40-მდე ნორჩი ტანმოვარჯიშე.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით შეჯიბრებაში გაიმარჯვა ლ. ხატიაშვილმა (პიონერთა სასახლე). II ადგილზეა ი. სააკაშვილი („სპარტაკი“), რომელმაც მიიღო ყველაზე გრაციოზული ტანმოვარჯიშისთვის დაწესებული პრიზი. III ადგილზე გავიდა ბ. სისაური (თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა).

პირველთანრიგოსნებს შორის ყველას აჯობა დ. ბაიდარაშვილმა („სპარტაკი“). შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს მ. ბლიაძემ (პიონერთა სასახლე) და ნ. გიორგაძემ (კალინინის რაიონის სპორტსკოლა).

ყველაზე ნორჩებს შორის თავი გამოიჩინეს თ. კურიგიანმა („სპარტაკი“), ი. ჩუზნეცოვამ (თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა) და ა. სუხოვამ („სპარტაკი“).

ბ. ქვათაძე.

# ტონი ისევ წინაა

სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასების გათამაშება დასასრულს უახლოვდება. მორიგი შეჯიბრებები იაპონიის ტრასებზე გაიმართა და ლიდერთა ახალი წარმატებებით აღინიშნა. ქალთა შორის თასის ოთხგზის მფლობელმა ა. მოზერ-პრიოლმა (ავსტრია), როგორც ვიუწყებოდით, სწორედ აქ, ნაებას ძიდამოებში ვადამდე მეხუთედ მოიპოვა გამარჯვება და სხვებს მომდევნო ადგილებისთვის ბრძოლის შანსიღა დაუტოვა.

20 წლის ლიხტენშტაინელ ჰ. ვენცელს სპეციალურ სლალომში გამარჯვების შემდეგ 168 ქულა მოუგროვდა და II ადგილზე გადაინაცვლა. მ. მიტერმაიერი (გფრ) მას 6 ქულით ჩამორჩება.

იაპონიაში ვაჟებმაც გიგანტურ და სპეციალურ სლალომში იასპარეზეს. გიგანტურ სლალომში უპირატესობა ჩრდილოეთის ქვეყნების სპორტსმენთა მხარეზე იყო. პირველობა მოიგო შვედმა ი. სტენმარკმა, II ადგილი კი ნორვეგიელ ე. ჰაკერს ერგო. III ადგილი მოიპოვა ავსტრიელმა ჰ. ჰინტერზეერმა. მაგრამ შემდეგ, სპეციალურ სლალომში ჰინტერზეერმა რევანშის აღება შეძლო, ხოლო სტენმარკი II ადგილს დასჯერდა.

თასის გათამაშების ლიდერი, იტალიელი გ. ტონი მეხუთე იყო, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სპორტსმენს თასის წლევანდელ გათამაშებაში მოწინავე პოზიციები შეენარჩუნებინა — 206 ქულა. ავსტრიელმა ფ. კლამერმა, რომელსაც 190 ქულა ჰქონდა, ამ მარაგს ვერაფერი შემატა, თუმცა ჯერჯერობით ისევ II ადგილზეა. სტენმარკმა კი იტალიაში 45 ქულა მოაგროვა და ახლა 175 ქულით მესამეა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ჭადრაკის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თბილისის ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 87) საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი ლ. აბრამოვი (მოსკოვი) 14 და 15 მარტს წაიკითხავს ლექციებს: 14 მარტს — „ჭადრაკი დღეს“, 15-ში — „ფიშერი, კარპოვი და ფიდე“.

ლექციების დასაწყისი 19 ს.

## ახალი ამბები

● **ლენინაბადი**, 10 მარტი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის ზამთრის III ჩემპიონატი ტრეკზე ჯგუფურ ექვსდღიან ველორბოლაში. ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა მოსკოვის ენერგეტიკის ტექნიკუმის მესამეკურსელმა, 22 წლის ა. არონოვმა. ვერცხლის მედალი კიეველ ბ. ტამულიანისს ხვდა, ხოლო ბრინჯაოსი — ალმაათელ ჰ. დენისოვს.

● *კოლორადო-სპრინგსი*, 10 მარტი. დარბაზ „ბროდმორის“ ყინულის საციგურაოზე გაიმართა ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა საჩვენებელი გამოსვლები. დარბაზში შეკრებილი აურაცხელი ხალხი, აგრეთვე, მილიონობით ტელემაყურებელი მოწმე გახდა ვარსკვლავთა შესანიშნავი ალლუმისა, რომლებმაც ამჯერადაც დახვეწილი არტისტიზმი და მაღალი ოსტატობა გამოავლინეს.

## „სპარტაკი“ პირველია

თბილისში მოეწყო ქალაქის პირად-გუნდური პირველობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებათა ნაკრებმა გუნდებმა. გუნდური გამარჯვება „სპარტაკს“ ხვდა. II ადგილზე გავიდნენ „განთიადის“, III — „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლები.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. ქურხული, ზ. კალმახელიძე, ა. სინჯარაძე (ყველა — „სპარტაკი“), თ. ხიზამბარელი („განთიადი“), თ. ბედოევი („სპარტაკი“).

ა. მარტყოფლიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66443
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 08690